№ 180, კვირა, 27 აპრილი. 1896—1897 კვირა, 27 აპრილი, № 180.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція
„Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

ხელის-მომწერთა საყურადღებოდ

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია მარტში (შეღავათიანის ვადით ხელის-მომწერთ)

პირველ აპრილიდან გაზეთი არ ეგზავნება.

დღეიდან გაზეთი წლის დამლევამდე «საქართველოს კალენდრით»

ღირს ხუთი [5] მანათი.

მაქვს პატივი ვაუწყო ქართველ საზოგადოებას, რომ
ვისაც ჰსურს შეისწავლოს აბრეშუმეულობისა, შალეულობისა, ნოხ-ხალიჩებისა და სხვა-და-სხვა გვარ მატერიების
ქსოვა ხელოვნურად, ფაბრიკულად,
(მატერიები კეთდება ჩვენებურ აქვე მოწეულ დამზადებულ ძაფებისაგან)
მიჰმართონ ახალს
ამხანაგობას მეაბრეშუმეობისა და მეფეიქრობისას
ქ. ქუთაისში.
ამხანაგობის სახელოსნოში იმყოფება კარგი ოსტატი—ფეიქარი მოსკოვიდან, მიხეილ შუსტინ, რომელმაც მოაწყო აბრეშუმეულის ქსოვის საქმე ბათომის სახელოსნო სასწავლებელში.
გამგე ამხანაგობისა არტემ ვახტანგის ძე ანჯაფარიძე.
(10—2)

სავაჭრო სახლი
ს. პ. პავლოვი და კ.
ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ., № 6, სასულიერო სემინარიის პირდაპირ.
მთელს ქვეყნიერობაზე განთქმული და საუკეთესო
საკერავი მაშინები
ხელით სატრიალებელი 22 მან. 40 მანათამდე,
ფეხით სატრიალებელი ყოველ გვარ საქმობისათვის ადვილი და მსუბუქად დასატრიალებელი.
მაშინების სიკეთეს სამის წლით თავდებად ვუდგები.
ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.
Торговый домъ С. П. Павлова и К°. (100—43 წ.)

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი, სოხუმის ოლქში
ქარხანა იღებულობს ყოველგვარ შეკვეთის დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელ კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისა.
ფასი მასალებისა მეტად იაფია
დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიათ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმ. მაჭუტაძეს. ფოსტის ადრესი: Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, ანუ Очемчиры, Теймуразу Чачава. (300—84)

ექიმი
ჟ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფს იღებს ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 მდე.
მიხეილის ქუჩა, № 16.

კბილის ექიმი
ვ. ი. პიპინაძე
ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინოვისა, 21
„ივერიის“ რედაქციის ქვეშ.
ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.
ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.
ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და 1½—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.
ი. ფ. პრიტასკევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.
ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.
ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.
საღამოობით:
ი. ფ. პრიტასკევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.
ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.
ბ. ა. ნავასარდიანი. 6½—7½ საათამდე.
სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია.
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—ფ. ქ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
ამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია. (წ.)

ანბანი
ქართული გოტიკური
ფასი 5 კაპ.
იყიდება ყველა ქართულ მაღაზიაში.

დეპეშა

„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან.
გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.

25 აპრილი.

პარიზი. ამბავი მოვიდა, რომ ჰერცოგი ომალისა, რომელიც ცუკკოში იყო, სიცილიაში, გაიგო რა ალანსონის ჰერცოგის მეუღლის დაღუპვის ამბავი,—უეცრად გარდაიცვალაო.

რომი. გარეშე საქმეთა მინისტრის თანაშემწე ამტკიცებს, რომ მართალია, ბატეგოს ექსპედიცია დაუხოცნიათო.

კონსტანტინეპოლი. ედჰემ-ფაშასაგან მიღებულ და გამოცხადებულ დეპეშაში სწერია: „ფარსალოსთან გუშინ მომხდარ სასტიკისა და ხანგრძლივის ბრძოლისა გამო, მტერი, დარწმუნდა რა, რომ გამაგრება შეუძლებელია, ღამე ზოგიერთი ადგილები მიატოვა. ხუთშაბათს, გათენებისას ოსმალები ქალაქზე იერიშით მივიდნენ. მტერი უკუიქცია და გაიფანტა. ოსმალეთის ჯარი ფარსალოში შევიდა. სამხედრო რაზმი მტერსა სდევნის დამაკოსაკენ. ჯერ ისევ ღამე ჰაირ-ფაშას ჯარს ბრძანება მიუვიდა იმავე გზისაკენ თვალი გეჭიროსო. ბერძნები უკან იწევენ და გზაში ჰყრიან ტყვია-წამალსა და სურსათს.“

ათინა. ვოლო თითქმის სულ დაიცალა. სმოლნიცმა ადმირუსაკენ დაიწია სრულის წეს-რიგით.

კანეა. ვასოსმა ნება-რთვა ითხოვა, ქალაქში შემიშვით შეიარაღებულის რაზმით, რათა საბერძნეთში წავიდეო. ვასოსს უარი უთხრეს ამაზე. ადმირალებმა აჯანყებულებს ნება მისცეს მხოლოდ ქალაქთან მისვლისა, რომ სურსათი ეყიდნათ. ვასოსის თხოვნა იმიტომ არ შეიწყნარეს, შეიძლება უწესოება რამ მოხდესო.

კანონი და მთავრობის განკარგულებანი.

მეურნეობის სამინისტროს უწყება:

გადაყვანილ იქმნა ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს უმცროსი გექილი კოლეჟსკი სეკრეტარი ქლენტი—ერევნის გუბერნიისა და ყარსის ოლქის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს უფროს გექილად.

განჯის გუბერნიის სამმართველოს უწყება: ქ. შუშის ბოქაულის თანაშემწის თან. აღმას. კოლეჟსკი რეგისტრატორი გასილ მამულაშვილი დანიშნულ იქმნა ქ. განჯის პოლიციის ბოქაულის თანაშემწის თან. აღმასრულებლად.

ახალი ამბავი

*** **დრამატიულ საზოგადოების კრება.** დღეს სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია მორიგი კრება ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა. იმედია, რომ კრებას საკმაოდ დაესწრებიან წევრები და ჩვეულებრივად კრების გადადება არ მოხდება. კრებამ უნდა განიხილოს ანგარიშები და გამგეობის კანდიდატები აირჩიოს.

*** **ისევ ხმოსნების არჩევანებზე.** „ნოვ. ობოზრ.“-ში დასტამბულია მეორე სიაც ქალაქის ხმოსანთა კანდიდატებისა მომავალის არჩევანებისათვის (აწინდელის ხმოსნების მიერ შემდგარი) და შიგ 18 ქართველია მოთავსებული: თავ. დავ. ივ. ავალიშვილი, თავ. ნიკ. დავ. ანდრონიკაშვილი, თავ. ალ. ირაკ. მუხრან-ბატონი, ალ. ივ. ბაქრაძე, უგან. თავ. პ. ა. გრუზინსკი, გ. მ. კოლუბანსკი, მიხ. ვახტ. მაჩაბელი, თავ. დავ. ზაქ. მელიქიშვილი, თავ. ვლ. სიმ. მიქელაძე, თავ. ივ. მაქ. ორბელიანი, დავ. ზაქ. სარაჯიშვილი, ივ. გაბ. თულაშვილი, ივ. დავ. უთნელოვი, გ. ექ. წერეთელი, თავ. ილ. გრ. ჭავჭავაძე, თავ. ალ. ზაალ. ჩოლოყაშვილი, თავ. ზაქ. გიორგ. ერისთავი და თავ. ნიკ. რევ. ერისთავი.

როგორც ამ სიიდგან სჩანს, ორსავე სომხის პარტიას თითქმის ერთი და იგივე პირები დაუსახლებიათ; საკვირველია 80 ხმოსნებში 18 ქართველის მეტი არ უნდ იყოს საბჭოში.

*** **„ღოთობის საწინააღმდეგო საზოგადოების“ წესდების გამო.** „ნოვ. ობოზრ.“-ს შეუტყვია, რომ „სიფხიზლეს საზოგადოების“ წესდება, რომელიც ქ. ტფილისში არსდება, უკვე დაუმტკიცებია სამინისტროს.

*** **სახელოსნო სასწავლებლის ახალი ზედამხედველი.** ქალაქის სამოსწავლო კომიტეტს სახელოსნო სასწავლებლის ზედამხედველად აურჩევია ბ. თედიაშვილი, რომელიც ქალაქის გამგეობას წარუდგენია კიდეც დასამტკიცებლად სამოსწავლო მთავრობისათვის.

*** **კავკასიაში სამხედრო გუბერნატორების ჯამაგირები.** ბ. კავკასიის მთავარ-მართებელს თავ. გოლიცინს განკარგულება მოუხდენია, უმაღლესის ბრძანების თანახმად, რომ ამა წლის 1 მაისიდამ კავკასიის სახედრო გუბერნატორებს ყოველ-წლივ შემდეგი ჯამაგირები მიეცეს: 1) დაღესტანის სამხედრო გუბერნატორს—12,000 მან. 2) ყარსის სამხედრო გუბერნატორს—10,500 მანათი და

ბიბლიოთეკა

3) ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს—12,500 მანათი.

⁂ **ვაჭრების საყურადღებოდ.** 8 მაისს, დღით 1 საათზე, ერევნის მოედანზე, გაიმართება საჯარო ვაჭრობა მნაცაკანის ხიდის სამის წლის ვადით იჯარით გასაცემად. მსურველთ შეუძლიანთ იჯარის პირობების შეტყობა ყოველდღე დილის 11—1 საათამდე ქალაქის გამგეობის კანცელარიაში.

⁂ **არაქელ მირზოევის მკვლელობის გამო.** ტფილისში, 1-ი კავკასიის საპიორთა ბათალიონის კაზარმებში, შეუპყრიათ ჯარის კაცი ივანე პოლკოვნიჩენკო და წარმოუდგენიათ პოლიცმეისტერთან. პოლკოვნიჩენკომ თავისი ვინაობა აღიარა და სთქვა, რომ 4 აპრილს „პასპორტი“ დამეკარგა და უთუოდ ბ. მირზოევის მკვლელი ჩემის სახელით სარგებლობს და იმალებაო, მე-კი ამ საქმეში არაფერს შუაში ვარ, რადგან 19 აპრილს აქეთ ტფილისში ვიმყოფები და არსად წავსულვარ აქედამაო. ამ საქმის გამო განჯიდამ ჩამოვიდა პოლიციის ბოქაულის თანაშემწე ბ-ნი ეფენდიევი და განაცხადა, რომ პოლკოვნიჩენკო სრულებით არა ჰგავს იმ პოლიციელს, რომელიც 30 მარტს პოლკის პასპორტით სამსახურში მიიღეს და რომელსაც მირზოევის მკვლელობა ჰბარდებაო. ამის გამო პოლკოვნიჩენკო უკვე განთავისუფლეს. როგორც განჯიდამ ატყობინებენ „ტფილ. ლისტ.“-ს, მირზოევი, თურმე, თავის სახლის კარებთან მოეკლათ, შუა ქალაქში, სხვა-და-სხვა დაწესებულებათა და წარჩინებულ მოხელეთა სადგომების მეზობლად.

ტფილისში პოლკოვნიჩენკოს აუხსნეს მკვლელის ნიშნეულობანი და მან მიამსგავსა ვიღაც მედვედსკის, რომელიც მასთან ერთად სცხოვრებდა კაზარმებში და 2—3 აპრილს იქიდამ წავიდა.

⁂ **კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის კრება.** 24 აპრილს საფილოქსერო კომიტეტს თათბირი ჰქონდა იმის შესახებ, თუ რა ზომები უნდა იქმნენ შემოღებული ვაზის ახალი ავადმყოფობის „ბლეკროტის“ საწინააღმდეგოდ. კომიტეტმა დაავალა ბატ. სტეშნევს ამ თავითვე დაათვალიეროს კახეთის ვენახები და გამოიკვლიოს სად არის ბლეკროტი და რამდენად მძვინვარებს იგი. ამის გარდა, მასვე დაევალა შეუდგეს ეხლავე სნეული ვაზების ექიმობას, რადგან ბლეკროტისაგან ვაზი მხოლოდ მაშინ რჩება, თუ დროით მიეშველნენ.

ამთათბირზედვე გადასწყვიტეს, მიენდოს საფრანგეთში ბ. ვერმორელის სავაჭრო სახლს, რომ თითონვე იღონოს ფილოქსერის საწინააღმდეგო მასალების გამოგზავნა, ვინაიდგან საბერძნეთის ერთი გემთაგანი, რომელიც ჰკისრულობდა მასალების მოტანას ბათომში, უარს ამბობს ამ ჟამად, რადგან ოსმალო-საბერძნეთის ომის გამო საშიშია დარდანელზე გავლა.

⁂ **ლიახვში კაცის დახრჩობა.** 18 აპრილს, სოფ. ქუსის მ/ხოვრები, გლეხი არუთინ ბალიაშვილი და დავით დიდებელო, მთვრალები, ლიახვზე ცხენით გადიოდნენ. ფონი არა სცოდნიათ; როგორღაც ცხენი დაფეთებულა და მხედარნი წყალში გადუყრია; ორივენი ტალღას მოუტაცნია; ხალხს შეუმჩნევია, რომ წყალში კაცები იხრჩობიან, ჩაცვენილან და ამოუყვანიათ, მაგრამ ბალიაშვილი ამასობაში დამხრჩვალა კიდეც. („კავკაზი“.)

⁂ **ამერიკელი, იტალიელი, თუ სომეხი?** ამას წინედ კავკავში დაატუსაღეს ერთი სომეხი, რომელიც ქუჩა-ქუჩა მათხოვრობდა. ეს სომეხი კეკლუცად, უკანასკნელს „მოდაზე“ შემოსილი იყო და შეპყრობის დროს აღიარა, „ამერიკელი ვარ, სახელად ჯონ ვილსონიო“, თან უნახეს რამოდენიმე ცნობილ პირთა წერილები, მაგ. მანტეიფელისა პრინც ნაპოლეონისადმი და სხვ., 75 დოლარი ფული (200 მანათამდე) და რუსეთის ფული 20 მანათი. როდესაც 21 აპრილს მომრიგებელ მოსამართლეს ჩვენებას აძლევდა, აღიარა—„იტალიის ქვეშევრდომი ვარ, სახელად ვანიან ჯოვანიო“. მომრიგებელ მოსამართლემ დაპატიმრება მიუსაჯა ორის კვირით. ეს ახირებული ადამიანი დასთანხმდა, ოღონდ სასჯელის შემდეგ დამიბრუნეთ ყველა ჩემი საბუთები და ფულებიო.

⁂ **ნაღვარი აგზალის ქუჩაზე.** გუშინწინ, 25 აპრილს, საღამოს ავჭალის ქუჩა რომ გენახათ, იტყოდით ერთი ტოტი მტკვრისა აქ გადმოვარდნილაო, იმოდენა წყალი მოდიოდა. ავჭალის ტრამვაის ცხენები მუხლამდის მიარღვევდნენ წყალს და აღმა კონკის ზიდვა თითქმის უჭირდებოდათ. ამ ქუჩის შესახებ, თუ ავდრის დროს თუ ტალახის დროს ბევრი რამ უთქვამთ ავი, კარგი-კი არას დროს, რადგან ეს ქუჩა და მასთან ერთად პირველი, მეორე და მესამე თუმანოვის ქუჩები არას დროს არ ღირსებიან სიკარგეს, და ამიტომ ჩვენ აღარ გამოუდგებით მის ავ-კარგიანობაზედ ლაპარაკს. მხოლოდ ამას-კი ვიტყვით, რომ წვიმის დროს მაინც იქონიონ ამ ქუჩაზედ გასადგმელი ხიდები, რომ ერთის ნაპირიდამ მეორე ნაპირზედ შეეძლოს გადასვლა ადამიანს. კიდევ კარგი, რომ ეტლები დგანან ხოლმე და თითო შაურად გადაჰყავთ და გადმოჰყავთ გამსვლელ-გამომსვლელი. ვისაც შაურები არა აქვს, იმან რაღა უნდა ჰქმნას: როდემდის უცდის, ვიდრე წყალი ჩამოწყდებოდეს. ყველა ხომ ფეხთ არ დაიხდის და მუხლამდის არ დაიკარწახებს გასასვლელად. ქალაქის გამგეობა, როგორც დარჩენილს ნიდოიმკებს აქცევს ყურადღებას და თვეში მანათზედ კაპეიკს თუ ნახევარ კაპეიკს ჯარიმას აწერს სახლის პატრონებს, არ იქნებოდა ურიგო, რომ ამ ქუჩისთვისაც ისევე მიექცია ყურადღება, და მუდამ თავისკენ მისათლელი ერთხელ მისკენაც მიეთალა. სასურველია აგრეთვე მიაქციონ ყურადღება პირველსა და მეორე თუმანოვის ქუჩას, მეტადრე მეორეს, სადაც წვიმის დროს კაცი მუხლამდინ ლაფში იფლება და არც ერთი მეეტლე არ კისრულობს მაზე გავლას, რადგან ექვსი შაურის სამაგიეროდ ექვსი კაცის დაქირავება დასჭირდება, რომ ეტლი და ცხენები ლაფიდამ ამოათრიოს.

⁂ **ახალი წიგნი.** ჩვენს რედაქციას მოუვიდა ახლად გამოცემული ისტორიული ამბავი „ჭონის შეგირდი“. ეს პატარა წიგნაკი მესამედ გამოდის ქართულს ენაზედ, რაც ჭეშმარიტი საბუთია მისი, რომ წიგნი მოსწონს ხალხს და ჰკითხულობს. წიგნში მართლაც მარტივად არის მოთხრობილი ერთი ამბავი ირაკლი მეფის დროიდამ, პატარა ჭონის შეგირდი თუ როგორ გადარჩა წერა-კითხვის ცოდნის წყალობით სპარსეთში ტყვედ წაყვანას და თავი იხსნა მრისხანე მტრისაგან. წიგნაკი სუფთად არის გამოცემული და ჰღირს შვიდი კაპეიკი, თუმცა უფრო იაფადაც შეიძლებოდა გამოცემულიყო.

⁂ **ქუთაისი. სამწუხარო ამბავი.** სამს ამ თვეს აქ ჩამოვიდა ჩვენი მუშაკი-მოღვაწე, პატივცემული ბ. ზაქარია ჭიჭინაძე. ბინათ ის ჩამოხტა ბ. ი. ხეთერლისას. პარასკევს, საღამოს, ბ. ზ. ჭ. იყო ხეთერლის წიგნის მაღაზიაში, სადაც თერთმეტ საათამდე დარჩა. თერთმეტ საათზე მაღაზიაში მოვიდნენ ბბ. ი. კ—ძე და მ. ც—ია. მისალმების შემდეგ ბ. ზაქარიამ წერილი მისცა კ—ძეს და უთხრა: „აქ შენთან დარჩენილი წიგნების ანგარიშია და, თუ ღმერთი გრწამს, ხვალ როგორმე გავასწოროთო“. კ—ძე დაეთანხმა. მერმე ბ. ზაქარიამ ჰკითხა: „ივანე, როგორ გეკადრებათ, რომ „კვალის“ რედაქტორ-გამომცემლის ქ-ნ ან-თ-წერეთლისათვის, მიგიწერია, ვითომც მე აქ ვავრცელებდე ხმებს, „კვალი“ იხურება და არავინ გამოიწერთო! შენი მიზეზით მე ტყუილ-უბრალოდ საყვედურით ამავსესო“.

ი. კ—ძემ უპასუხა: „მე სრულიად არ მახსოვს, რომე მიმეწეროს, და თუ მივწერე, უთუოდ შენც იტყოდი რასმე, თორემ ტყუილს მე არ შევთხზავდიო. მაგრამ შენ ხშირად იცი ასეთი უთავ-ბოლო ლაპარაკი, შენ შენი სტამბა გაქვს და იქ იმუშავე, ისა სჯობიაო“.

სიტყვა „იმუშავე“ ძლიერ იწყინა ბ. კ—ძემ: „მუშა ვინ არის, შე, ასეთ ისეთო, შე გაქონილო ლაქია, შე ქუჩის მაწანწალაო! შენი გაიძვერობით უნდა მთელი ქვეყანა აამყრალო?

—„ძმაო, რას მერჩი, რა დაგიშავე, ან შენ ან სხვას, რომ ასე მლანძღავ? ჩემს პირადობას შენ რას ეხები, მართლაც რომ ასეთი ვიყო?“

„პირადობას ვეხები კი არა, კაცმა უნდა ჩაგახრჩოს, შენ ასეთ ისეთო!

— მე კი არა, შენა ხარ ასეთ-ისეთი ამ სიტყვების თქმისთვისო, უთხრა ზაქარიამ... და ამ დროს მივარდა გახელებული კ—ძე და ერთი თუ ორი სილა გაარტყა ბ. ზაქარიას. მემაღაზიე ხეთერელი ჩავარდა შუაში, რომ ბ. ზაქარია გამოეგლიჯა კ—თვის ხელიდამ, მაგრამ, რო ვერას გახდა, თავის ნოქარი გაგზავნა პოლიციელის დასაძახებლად. ბ. ც—ია გამოეკიდა მიმავალ ყმაწვილს ჯოხით, და „მობრუნდი, თორემ მოგკლავ, მისძახოდა. ყმაწვილი, რა თქმა უნდა, შეშინდა და უკან დაბრუნდა. ამასობაში კ—ძემაც იძლო გული და შემდეგ-კი ორივე მსწრაფლ გაიქცნენ.

აი, რა ზრდილობიანად მოექცნენ ეს ვაჟბატონები და რა გულ-უხვად უმასპინძლეს პატივცემულ ზაქარის.

ქუთაისში ასეთი სამწუხარო ამბავი მოხდა, რომელმაც აალაპარაკა მთელი ქუთაისისის ინტელიგენცია და თითქმის ყველა, ვისაც-კი ორიოდ ან-ბანი უსწავლია. კვირას, 6 აპრილს, ბ. ზაქარია გაემგზავრა ხონისაკენ. ამ ამბავს ბ. ზაქარია თავის მხრივ არ გამოეკიდა, მაგრამ ნუ ვიფიქრებთ, რომ ეს საქმე უყურადღებოდ დასატოვებელი იყოს იმათგან, რომელთაც ჯერ კიდევ სინიდისი შერჩენიათ.

ამხანაგი.

⁂ **დაბა ცხინვალი. ქურდების შეპყრობა.** დიდ-მარხვის უკანასკნელ კვირეში ავაზაკებმა კიდევ იჩინეს აქეთკენ თავი. რაკი გათბა, მთებიდამ ზვავი ჩამოწვა და ჯავის ხეობის გზა გაიხსნა, ქურდ-ბაცაცა ოსებმაც თავი გამოჰყვეს საავაზაკოდ. სოფელ კეხვის მახლობლად, საიდამაც იწყება ჯავის ხეობა, დაუხვდნენ ოთხს რაჭველს გასაძარცველად, რომელთაგან სამი დასჭრეს, მხოლოდ მეოთხე გადარჩა უვნებლად, რომელმაც შეატყობინა ცხინვალის ბოქაულს და დისტანციის უფროს ბ-ნ რ. ავალიანს ამხანაგების დაჭრა და გაძარცვა. ბოქაული და დისტანციის უფროსი ჩაფრებით იმ ღამესვე მიჰყვნენ კვალ-და-კვალ ავაზაკებს და გაბაწრეს სოფელს კუდაროში ფარნაოზ ბაგაურის სახლში, რომელიც ავაზაკებთან ერთად დაპატიმრებულია ამ ჟამად. ამავე ბაგაურის სახლში ბოქაულმა აღმოაჩინა მრავალი სხვა და სხვა მოპარული ნივთები, მიწაში დაფლულნი. ერთი ქვაბი სახლის იქიდამ მიწაში დაუფლიათ და ზედ წიწმატი დაუთესნიათ. რა ეშმაკი იპოვნიდა, რომ მეზობელს არ გაემხილებინა.

მხოლოდ ერთი ავაზაკთაგანი, ს. კოშკის მცხოვრებელი, გაბო თიგიშვილი ვერ დაიჭირეს იმ ღამეს. ის გარედ ყოფილიყო სადარაჯოდ და, რაკი უეცრად დასცემოდნენ ბოქაული და ავლიანი ფარნაოზ ბაგაურის სახლს, იგი გაქცეულიყო. იმ დღის შემდეგ მისს ძიებაში იყვნენ და ისიც დაიჭირეს დიდს ხუთშაბათს კოშკის ჭალაში. თიგიშვილს ჰგონებოდა ვერ მიცნობენო, რაკი გაქცევის გზა აღარ ჰქონდა, და თავისუფლად აპირებდა გზის განგრძობას. ჰკითხეს—სად მიდიხარო. ცხინვალში მივდივარ ქერისა და მარილის სასყიდლადაო. მაშ ჩვენ ჩაგიყვანთო, უთხრეს თავ-გასულს თიგიშვილს და გათოკეს იქვე. წელს ახალი ხილი არ არის მისთვის ავაზაკობა. იგი შარშან და წინადაც ფარულად ამტუტებდა აქა-იქ სოფლებს და იპარავდა მრავალ ცხენებს, რომელიც სხვაგან გადაჰყავდა.

ეხლაც რამდენსამე ქურდობაში შენიშნულს პირს დაეძებენ და, იმედია, ბ-ნის ბოქაულის და დისტანციის უფროსის მეცადინეობა ამაოდ არ ჩაივლის. ყოველ ღამე, საღამოდან მოკიდებული გათენებამდის, ხან ბოქაული, ხან დისტანციის უფროსი და ზოგჯერ მარტო ჩაფრები დაიარებიან ცხინვალიდან კეხვამდის და კეხვიდან ცხინვალამდის, რომ არავინ გამოეპაროთ ავაზაკთაგანი.

სწორედ დიდის მადლობის ღირსნი არიან ამ გულ-მოდგინეობისათვის ხალხის მყუდროების დასაცველად ბოქაული ცხინვალისა და დისტანციის უფროსი.

⁂ **ს. ნიგოითი.** (ოზურ. მაზ.) **თვით-განვითარების საქმე.** აქაურ გლეხებში მოიპოვება თითო-ოროლა ახალგაზდა, რომლებიც ძლიერ ეტანებიან სწავლა-განათლებას, იმის შეძენას. ეს გარემოება მით უფრო საგულისხმიეროა, რომ ამ პირთ არავითარი განათლება არ მიუღიათ (ზოგს იმათგანს სოფლის სკოლაც-კი არა აქვს გათავებული) და თავის ენერგიით და შრომის მოყვარეობით იქნობამდის მიუღწევიათ, რომ იმათ კითხვა, სწავლის შეძენა არსებითს მოთხოვნილებად გადაქცევიათ (აქ უნდა ვსთქვათ, რომ იმ ახალგაზდებს ამ საქმეში ბევრს შველოდა და შველის დღესაც ერთი აქაური ინტელიგენტთაგანი). ქართულ ლიტერატურასთან ისინი საკმაოდ კარგად არიან გაცნობილნი: თითქმის არ მოიპოვება ჩვენს ენაზედ ისეთი წიგნი, ორიგინალი იქმნება ის, თუ თარგმანი, რომ იმათ გაცნობილი და წაკითხული არ ჰქონდეთ. ეხლა იმ ახალგაზდების სწავლის წყურვილმა იქნობამდის მიაღწია, რომ სახელმწიფო ენის შესწავლასაც-კი გულ-მოდგინედ შეუდგნენ, რომ თავისუფლად შეიძლონ ამ ენაზედ მეცნიერული წიგნების კითხვა. როდესაც საქმის დღე და ბუნებაც ნებას აძლევს, ისინი ენერგიულად ეძლევიან ფიზიკურს შრომას და გარჯილობას. დიდათაც მოხარული და ნასიამოვნები დავრჩენილვარ, როდესაც დამინახავს ეს ახალგაზდები, სამუშაოდ მიმავალნი, ერთ ხელში რომელიმე სამუშაო იარაღით და მეორეში—წიგნით ანუ რომელისამე ჟურნალისა ან გაზეთის ნომრით, რომ მათ დასვენებისას დრო ტყუილად არ დაეკარგათ და წაეკითხათ ეს უკანასკნელი. როგორც-კი დაღამდება, და მუშაობაზე ხელს აიღებენ, იმ წამსვე იმათი სადგომები გაჩაღდებიან ლამპრებით და ეხლა ფიზიკურ ვარჯიშობიდან გადადიან გონების ვარჯიშობაზე. ყველა ამას არა ერთხელ გაუხსენებია ჩემთვის შვეიცარია და იქაური გლეხი, რომლის სახლში უეჭველად შეხვდებით სამართლის წიგნებთან ერთად სხვა-და-სხვა საკითხავ წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს, რომლის შემწეობით შვეიცარიელი გლეხი თვალ-ყურს ადევნებს ცხოვრების მიმდინარეობას და უკან არ რჩება ამ უკანასკნელს. თუ გნებავთ იმ ახალგაზდების დასჯა, უფრო სასტიკ საშუალებას ვერ გამოძებნით გარდა იმისა, რომ წაართვით იმათ წიგნები და არ მისცეთ კითხვის ნება: ეს იქმნება იმათთვის ნამდვილი ბარბაროსული ტანჯვა-წვალება, ასე დიდია იმ ახალგაზდებში სწავლის მოპოვების წყურვილი. ეს ფაქტი მეტად სასიხარულო მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში, სიმპატიის გამომწვეველია და ღირსია მიბაძვისა.

კ. კიკიანი.

⁂ **ქ. გორი. კნ. დიასამიძის განსვენება.** 23 აპრილს აქ მოასვენეს თავ. ნ. დიასამიძის მეუღლის გვამი საღამოს აგარაკის მატარებლით. იგი, როგორც გავიგეთ, გარდაცვლილიყო უეცრად სოფელ დოესში (გორის მაზრა), სადაც ყოფილიყო სტუმრად ნათესავებთან. სადგურზედ დიდძალი ხალხი დაუხვდა და დიდის ამბით მოასვენეს ქ. გორის სომხების ყველაწმიდის ეკკლესიაში (კნ. დიასამიძისა ბებუთაანთ ქალი იყო), აქ გადაუხადეს პანაშვიდი, ბევრის პატივცემულის ხალხის თანადასწრებით. რადგანაც საყდარში აღარ ეტეოდნენ, ამი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სთვის გალავანში იდგა უმეტესი ხალხი. მეორე დღეს უკანასკნელად გადაუხადეს პანაშვიდი და გამოსალმების დროს სიტყვა სთქვა ჩვენმა პატივცემულმა მგოსანმა აკაკიმ. ხალხი დიდის ყურადღებით უგდებდა ყურს პოეტის სიტყვას და მგლოვიარე ხალხს ერთი-ათად გაუორკეცდა მწუხარება. აქედან ნაშუადღევის ორ საათზე განსვენებულის გვამი გაასვენეს ისევ რკინის გზის სადგურზედ. უფრო დიდძალმა ხალხმა გააცილა სადგურამდე. აქაც გამომშვიდობებისას სიტყვა წარმოსთქვა თავ. ი. გ. მაჩაბელმა და ხალხი უკანასკნელად გამოემშვიდობა განსვენებულს. განსვენებული წაასვენეს თავისს სამშობლო სოფელს ბრილში, დასაკრძალავად ხუთშაბათს, 25 აპრილს.

აქვე მოგვყავს აკაკის სიტყვა, ქ. გორში თქმული კნ. დიასამიძის განსვენებაზე.

„გული ამევსო ნაღვლითა!.. ენა დაბმულია!.. სიტყვას ველარ ვახერხებ!.. და ან-კი რა უნდა ვსთქვა, ჩემო დედასავით ტკბილო და დასავით ძვირფასო არსებავ? ჩემს ხან-მოკლე სიცოცხლეში-კი არა, საუკუნოებიც რომ შესაძლებელი იყოს გავსძლო, მაშინაც ვერ გაგიმეტებ, რომ მკვდრად წარმოგიდგინო და ეგ შენი სათნო სახე ყოველთვის ცხოვლად მექმნება გათვალისწინებული... დღეიდან ჩვენში მე ასეთ შესანიშნავ დედას, სამაგალითო მეუღლეს და ღირსეულ ქართველ ქალს ვერსად შევხვდები, რომ მათში შენ არ წამომიდგე გახორციელებულად. ყველასათვის თავ-გადაუვალი და აუცილებელი სიკვდილის ჯერი, დღეს შენზე მოდგა და უნდა ჩაგდვათ ცივს მიწაში, მაგრამ ნამდვილი სამარე-კი ჩვენი მხურვალე გულია!.. აქ გვეყოლები დამარხული და ერთად იმ გულთან ჩაგიტანთ საფლავში. სიკვდილი ყველასათვის თანასწორი არ არის: ზოგი კვდება სამარადისოდ და ზოგნი-კი მხოლოდ მიიცვლებიან ხოლმე, ე. ი. ხორციელად გვშორდებიან და სულიერათ-კი აქვე, ჩვენთან რჩებიან, რომ მოგვაგონონ თავი და მათი გადასული ცხოვრების მიმბაძველად გაგვხადონ ქვეყნის საკეთილ-დღეოდ. შენც ერთი ამგვარ რჩეულთაგანი იყავ, ძვირფასო გვამო, და მიტომაც ასე გვამწარებს შენი უდროვოდ დაკარგვა. „სიკვდილი მართალთა განსვენებაა", ბრძანებს საღმრთო წერილი. და შენც მართალო სულო, ამ ქვეყნიურის ვალის ქრისტიანულად მომხდელო, ნაღვაწო და დამაშვრალო, განგისვენოს უფალმა იქ, სადაც ჩვენი დიდებული ქართველი დედები განისვენებენ... და აწ ჩემგანაც ნიშნად სამარადისო ხსოვნისა და კავშირის გაუწყვეტლობისა მიიღე უკანასკნელი ამბორი. მშვიდობით..."

⁂ **ახალ-სენაკი.** ავაზაკობა. ახალ-სენაკიდამ ნახევარის ვერსის მანძილზე ერთი სამიკიტნო დუქანია გამართული, რომლის პატრონი ბურდღუ თოდუა არის. 22 აპრის, თავს დაესხა ამ დუქანს რამდენიმე ყაჩაღი, თავიდგან ფეხამდინ იარაღში გამოწყობილი. თოდუა ამ დროს დასაძინებლად ემზადებოდა, ყაჩაღებმა ჯერ ახალუხის ჯიბიდან ამოაცალეს ცხრა თუმანი ფული, მერმე წასაღებად ხელი სტაცეს თოდუას იარაღს. თოდუამ ყაჩაღებს წინააღმდეგობა გაუწია. ერთს ყაჩაღთაგანს რევოლვერით სასიკვდილოდ დაუჭრია საწყალი თოდუა. ტყვია მოხვედრილი აქვს მუცელში... ყაჩაღებს წაუღიათ, ცხრა თუმნის გარდა, მშვენიერი ხმალი, ხანჯალი, ქამარი, რევოლვერი და სხვა. ეს ამბავი მაშინვე ადგილობრივს ადმინისტრაციას მოხსენდა. პოლიცია ჩაფრებით მივიდა, მაგრამ ქურდების კვალიც ველარ იპოვნა. თვალ-წინ წარმოუდგათ საწყალი, სისხლში გათხრუპნული, ბურ. თოდუა. ექიმი ბ. გ. კახიანი მოვიდა დ̃ ჭრილობა შეუხვია. ექიმის სიტყვით, თოდუას მორჩენა საეჭვოა. ამ სამწუხარო ამბისა გამო, ფიცხელი გამოძიება სწარმოებს. პოლიციამ ეჭვი მიიტანა ერთს აქაურს მცხოვრებზე, რომელიც დაკავებულია. ბურდღუ თოდუა, როგორც ამბობენ, პატიოსანი და კეთილი გულის ადამიანი ყოფილა. მისი განაწყენებული კაცი არავის არ უნახავს. საკვირველი აქ ის არის, რომ სადაც ადმინისტრაციაა დ̃ იქ ასეთი ამბები ხდება აბა სოფლებში რაღა იქნება?.. იმედია, ადგილობრივი ადმინისტრაცია უფრო ბეჯითად გამოარკვევს ამ სამწუხარო ამბავს და ყველას დაგვანახვებს იმ ვაჟბატონს, რომლის მოქმედებამ დიდად აღელვა აქაური მცხოვრებლები....

ტელეფონი.

⁂ **დ. სამტრედია.** უეცარი გალახვა. 9 აპრილს, ღამის 10 საათზე მოხდა უეცარი შემთხვევა. აქაური აფთიაქარი ალექსანდრე სვაცინსკი ღამის 10 საათზედ გამოსულა ბაზარში რაღაცეების სასყიდლად, როდესაც უკან დაბრუნებულა; ქუჩაში ვიღაც ქურდულად მიჰპარვია და დაუკრავს თავში კეტი. აფთიაქარი იქვე წაქცეულა, საბრალოს თავი ძლიერ დაშავებული აქვს. არავინ იცის, თუ ვინ ისურვა ასეთი უსინდისობა და მისი სიკვდილი. ბატონი ბოქაული ვარდენ ქელბაქიანი ფიცხლავ დაეძებს დამნაშავეს დ̃ ვიმედობთ, არ დაიმალება მაგნაირი უწესობა და და მოინახება ის ვაჟბატონი, რომელმაც ეს უწესოება ჩაიდინა. ეს პირველი მაგალითი არ არის ჩვენს დაბაში.

ილიკო მეგრელიშვილი.

⁂ **ახალ-სენაკი.** აბრეშუმის თესლის გავრცელება. წელს, ახალ-სენაკელ ბერძნებმა ისე მოფინეს სოფელ და სოფელ აბრეშუმის თესლი, რომ არ დარჩენილა, ისეთი ოჯახი, სადაც ამ ვაჟბატონებს ძალით არ მიეცათ სოფლელებისათვის აბრეშუმის თესლი. წარმოიდგინეთ, თითოეულ სოფელში აგენტები ჰყავდათ აჩენილი და ისე ასაღებდნენ. ხან-დახან „ბატონებიც" ასკუპულიყვნენ ცხენზე და დარბოდნენ, როგორც ცოფიანები. ახალ-სენაკის მახლობელ სოფელში და თვით დაბაში-კი, როგორც იარმუკაში მეწვრილმანე ურიებს ისე დაჰქონდათ გასასყიდად. ამათი თესლი არ დარჩა გაუყიდავი. ხოლო, საუბედუროდ, ბ-ნი ს. თავართქილაძისა და ბ-ნი ტრიფონ კალანდარიშვილის თესლი-კი არ გაიყიდა. ტ. კალანდარიშვილისა ქ. ქუთაისის „მეაბრეშუმე და საფეიქრო" ამხანაგობისა იყო, ს. თავართქილაძისა-კი გურიის „შუამავალისა". ტ. კალანდარიშვილი, როგორც აქაური მკვიდრი და მცხოვრები, ხალხს ბევრი ეჩინა, უქადაგა თავისის და თავართქილაძის თესლის ღირსებაზე, მაგრამ ვერაფერს გახდა, მაინც ვერ მოარჯულა. ბ-ნი კალანდარიშვილი ბჟოლის (თუთის) ხის თესლს მუქთად აძლევდა, იმას ვინც-კი იმისაგან აბრეშუმის თესლს წაიღებდა, რადგანაც ქუთაისიდგან ბ. არტემ ანჯაფარიძეს გამოეგზავნა. ნეტავ, როდის მოვა ჩვენი ხალხი გონს, როდესაც კაცი მათის ეკონომიური წარმატებისათვის ცდილობს და ხალხი-კი სხვაგან გარბის?.. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კალანდარიშვილისა და თავართქილაძის აბრეშუმის თესლი რიგიანი იყო. ხოლო ბერძნების თესლის შესახებ ჯერ არაფერს ვიტყვით, ამას მომავალი გვიჩვენებს და ყოველსავეს თავის დროზე ფარდა აეხდება გაზეთის საშუალებით. მაგრამ რაც გინდა ცუდი და უვარგისი გამოდგეს, მაინც ვისი ეშინიანთ?.. შარშანაც ამათი დარიგებული თესლი სნეული გამოდგა. რისთვის და რატომ აიტკივებენ აუტკივებელ თავს, როდესაც ამათს აბრეშუმის თესლს მაინც გასავალი აქვს აქეთ? ბერძნები იმ პირობით არიგებენ ხალხში აბრეშუმის თესლს, თუნდაც ჩვენებური სამი ქილაც რომ მოვიდეს თავიანთს ხვერდს პარკათ მიიღებენ. კარგს თესლს ხომ ბევრი ფულები მოუნდება და იმას ის არა სჯობიან, რომ იაფ-ფასიანი თესლი შეიძინონ და იქიდანაც იმდენი მოიგონ, რამდენიც კარგი თესლიდან?.. ჩვენ ესეც ვიცით, რომ წელს ამ ვაჟბატონებმა დაურიგეს უმეტესი ნაწილი აბრეშუმის თესლი ადგილობრივი, ე. ი. თავიანთი ხელით გაკეთებული. აბა, წარმოიდგინეთ,ამათ რა იციან თესლის დამზადება? ასე და ამ გვარად ატყუებენ უმეცარს ხალხს ბერძნები. ერთსა და იმავე აბრეშუმის თესლს ყრიდნენ სხვა-და-სხვა კოლოფებში და ხალხს ეუბნებოდნენ, ვითომ ნამდვილი ამერიკის სხვა-და-სხვა ფაბრიკებიდგან ყოფილიყოს გამოტანილი. ჩვენს უმეცარ ხალხს იმიტომ აქვს ამათი ნდობა, რადგანაც ძველებური ჩვენებურს თესლზე მეტს მოსავალს იძლევა იმათგან დარიგებული აბრეშუმის თესლი და ამაზე უკეთესი თუ მოიპოვება ეს-კი არ იციან...

დროა, ვისგანაც ჯერ არს, მიაქციოს ყურადღება, თუ რავდენად ალვირ-წახსნილნი არიან ახალ-სენაკელი ბერძნები, რუგორ ჰყიდიან და ყიდულობენ აქაურისაგან სისხლით მორწყულ ნაოფლარ ამაგს ჩალის ფასად. იმედია, მთავრობა მომავალში მაინც მიაქცევს თვისს განსაკუთრებითს ყურადღებას ამ გარემოებას და მით ბოლოს მოუღებს ხალხის მოტყუებას.

⁂ **მეჯვრისხევი.** ქურდობა და ავკაცობა. არ ვიცით, რა გვეშველება მეჯვრისხეველებს, როდემდის ვიქნებით ქურდებისაგან აოხრებული. თითქმის კვირა არ გავა, ღამეში ოთხ ადგილას არა გაეტეხონ-რა. სხვა ქურდობა არ იკმარეს და 19 ამ თვეს, ღამით, ესტუმრნენ ისეც ღარიბს ჩვენს სამკითხველოს. გასტეხეს სახლის კარები, რაც რკინეული გვქონდა, ყდების საკეთებელი იარაღი, ან წვრილმანი, რაც იპოვეს ყველა წაიღეს; ასე გასინჯეთ, სპიჩკაც და ნავთის ქურჰელი ნავთით მოიპარეს. შემდეგ წიგნების შკაფს გვერდზედ შუშა გაუტეხეს, სადაც სამკითხველოს ბეჭედი იყო ყუთით და გამოიღეს. სულ რვა მანათამდის იქნება ჩვენი ზარალი. წიგნებისათვის კი ხელი არ უხლიათ. ბეჭედს აწერია: Меджрусхевская общественная библіотека. ჩვენი სამკითხველო ერთი თვე არის, რაც ერთი გლეხი კაცის ოთახი ვიქირავეთ და იქ გადავიტანეთ, რადგანაც დაგვითხოვეს იმ სახლებიდგან, სადაც ვიყავით. იქვე ორი ძმა დგას ჩვენი სახლის პატრონები და როდესაც სინათლე დაინახა, გამოეღვიძა დედა კაცს და თავის ქმარი გააღვიძა. მისი ქმარიც ადგა გარეთ გამოსასვლელათ, მაგრამ კარები გარედგან დახვდა გადმორაზული, დაუძახა თავის ძმას: „არიქა, ბიჭო, ადექი რაღაც სინათლე არი', სამკითხველო არავინ გატეხოს, ჩემთვის კარები დაუკეტიათო!" ადგა და მაშინვე გასწია, მაგრამ ისიც გადარაზული დახვდა. მანამ ესენი კარებს რამეს მოუხერხებდნენ, მანამდის ისინი თავის გზას დაადგნენ. აბა რა უნდა ვქნათ ამის შემდეგ, როდესაც ხალხი ასე გაეშმაკდა, რომ ყოველი ხერხი შეისწავლეს. როგორც გავიგე, აველი მაშინვე, შევატყობინე ბ. ბოქაულს, რომელიც მოვიდა, ოქმი დანაკარგისა შეადგინა და გაგზავნა ჩაფრები საძებრად.

ისევ არხეინათ დაიწყეს სიარული მეჯვრიხევში და ან კიდევ სხვა სოფლებში. ეკკლესია გატეხეს მაგრამ მის ქურდებს რაკი ნაქურდალი ჯიბეში ვერ უპოვეს და სხვას, რაც მათ საწინააღმდეგოთ იყო ნაჩვენები საკმარისი არა იყო გაანთავისუფლეს. ხან სახლები დაუმტვრიეს, ხან რაქნეს, მაინც ყველას შერჩა. თუ რამე ზომა არ მიიღო ადმინისტრაციამ, ყოვლად შეუძლებელია ამოდენა ოსობამ ერთხელაც არის არ გაგვიცოცხლოს ალა მაჰმადხანის დრო თავიანთის აკლებით. ღამე მოსვენებით არავის სძინავს, ყველას გვეშინია ქურდების მოლოდინით. ვთხოვთ ვისაც ჯერ არს, მიაქციოს ყურადღება ჩვენს სოფელს და აოხრებისგან დაგვიხსნას.

მეჯვრისხეველი.

⁂ **ქ. ბათომი.** ქურდობა. 8 აპრილს, ღამით გასტეხეს ქურდებმა ლომინაძის და ბერძენიშვილის განყოფილება, რომელიც იმყოფება ვაგზლის პირდაპირ და წაიღეს ფული 500—600 მანათამდე. ქურდებს დაეძებენ. საკვირველია, ღმერთმანი, კვირა არ გავა ისე, რომ ორი ან სამი მაღაზია არ გაქურდონ. იმედია, ამის შემდეგ მაინც ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს, ვისიც ჯერ არს.

„ნოქარი".

ბათომი. **დროებითი განყოფილება ქუთაისის ოლქის სასამართლოისა** ბათომში დაიწყებს საქმეების განხილვას 12 მაისიდამ.

— **რკინის გზის ახალი ბაქანი** (платформа). სადგურთ მახინჯაურსა და ჩაქვას შუა რკინის გზით მოგზაურთათვის ბაქანის აშენებას უკვე შეუდგნენ. ბაქანს 20 საჟენი სიგრძე ექმნება.

— **სასანიტარო კომმისიის განკარგულება.** სასანიტარო კომმისიამ დაავალა მწვანილების და სხვა და სხვა წვრილმანის მოვაჭრენი დაუყოვნებლივ გადიტანონ თავიანთ ბინა ქალაქის „ბაზრის ქუჩიდამ."

⁂ **მადლობის გამოცხადება.** ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ ბ. ივანე გარაყანიძეს, რომელმაც შემოსწირა რწმუნებულს ჩემდამო კარის ყურის წმ. გიორგის ეკკლესიას საცეცხური და ოქროთი მოვარაყებული ვერცხლის ჯვარი, ღირებულნი 18 მანათად. ხსენებული ეკკლესია მეტად ღარიბია და ამგვარი შემოწირულებისთვის დიდი მადლობის ღირსია ბ. ივანე გარაყანიძე; იმედია, ამ ჩემდამო რწმუნებულ მრევლთაგანიც, რომელიც სცხოვრობენ სხვა-და-სხვა ქალაქებში, მიჰბაძვენ ამ ღვთისნიერ საქმეს, რაზედაც მადლობელი ვიქმნებით როგორც მღვდელი, ისე მრევლიც.

გომის წმ. გიორგის შტატის ეკკლესიის
მღვ. იესე მახარაძე.

⁂ **დაგვიანებული მადლობა.** ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის „ცნობის ფურცლის" საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომლებმაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი კიევის უნივერსიტეტის სტუდენტის სიმონ გოგიტიძის სასარგებლოდ. 1895 წელს ქ. ფოთში გავმართეთ ხელის მოწერა. და შევაგროვეთ ათი თუმანი, რომელიც დანიშნულებისამებრ გავუგზავნეთ. ჩემის მხრით უგულითადეს მადლობას ვსწირავ ხელის მომწერთ.

აი სია ხელის მომწერთა.

ხუთი მანათი ეპისკოპოსმა გრიგორიმ. მღ. დ. ჯინჭარაძემ. ან. შეტერიკოვმა. სამი მანათი: მღლ. ნაკაშიძემ. გ. ბერეჟიანისამ. ნ. ბერეჟიანისამ. ორი მანათი. ბ. ნაკაშიძისამ. ს. კარგარეთელმა დ. პილიძმა. უცნობმა 1 მ. 60 კ. გ. ედიგაროვისამ. 1 მ. 40 კ. თითო მანათი. ს. მგალობლიშვილმა. მღ. ნ. სამხარაძემ. კ. მაღნარაძემ მ. გროდსკიმ. მ. მდივანმა. ვ. ვაშაკლევიჩმა. პ. წულაიამ, ა. დუგინო, ვარ. ყიფიანმა, თ. კ. ჭავჭავაძემ, კ. რუხაძემ, ა. ქვანიამ. გ. ტიბინსკიმ. ა. კიღურაძემ, ე. გოგაშვილმა, ლ. ტუღუშმა, მღ. ი. კეჭეყმაძემ, ს. ჭოჭუამ, ეკმა, ლ. ტერ-სტეფანოვმა, ვ. არხიპოვმა, ბ. მოქიამ, დ. ო—მ, ვ. თოფურიამ ი. გოგიბერიძემ, ი. ცალქალამანიძე, პ. ჯაშმა ა. ძლენტმა, ლ. თავართქილაძემ, დ. ჩხიკვიშვილმა, ბ. კალანდაძემ, კ. კალანდაძემ, ა. გერბაევმა. ა. ალანიამ ათი შაური: ი. კლიმოვმა, ვ ლუკაშევიჩმა, მ. კოლიშოვმა, გ. ქავთარაძემ, ბ. თელიამ, კ. მიქაძემ, ვ. პერედერამ. 6 №№—მა ა. გორენკომ, ი. ყილიპენკომ, მ. თურქიამ, № შაფათავამ, პადაპრიგოვმა, იასტრებოვმა, პავლოვმა ა. ალანიამ ს. გოგინავამ, მ. ალხაზოვმა. ორი მანათი და სამი აბაზი „ტამოჟნის" ჩინოვნიკებმა. სიმონ ბერეჟიანმა ოცი მანათი.

ნინო ბერეჟიანისა.

P. s. ბოდიშს ვიხდი პატივცემულ საზოგადოებასთან, რომ ამდენ ხანს დავაყოვნე ამის გამოცხადება, მაგრამ ჩემდამო დამოუკიდებლის მიზეზებით ამდენს ხანს არ დაიბეჭდა, თუმცა თითო ეკზემპლიარი ამ წერილისა, ყველა გაზეთებს მივაწოდე, „გარდა ცნობის ფურცლისა", მაგრამ ჩაილურის წყალი ასვეს.

ნ. ბ.

დამდეგი არჩევანების გამო.

საქალაქო დებულების ზოგიერთი მუხლები. კარზე მომდგარ საქალაქო არჩევანების გამო საჭიროდ ვსთვლით გავახსენოთ ჩვენს მკითხველებს ზოგიერთი მუხლები საქალაქო დებულებისა.

25. იმ პირთ, რომელთაც აქვთ კანონიერი უფლება ხმოსნების ამორჩევისა თანახმად 24 სტატიისა და რომელნიც არ შესრულებულან ოცდა-ხუთის წლისა, აგრეთვე პირნი დედათა სქესისა, სარგებლობენ ამორჩევის უფლებით არა პირადად, არამედ გაჰგზავნიან არჩევანში თავიანთ რწმუნებულებს, რომელთაც გარდასცემენ რწმუნების ქაღალდს.

26. იმ პირთა მაგიერ, რომელნიც

იმყოფებიან მზრუნველობის ქვეშ (подъ опекой), არჩევნებს დაესწრება მზრუნველი (опекунъ). პირთ დედათა სქესისას შეუძლიანთ გადასცენ რწმუნების ქაღალდი არჩევანებზედ დასასწრებლად მხოლოდ თავიანთს მამებს, ქმრებს, ვაჟიშვილებს, სიძეებს, შვილი-შვილებს, ღვიძლ ძმებს და ძმის-წულებს.

27. გაუყრელ ძმათ შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონ არჩევანებში მამის მაგიერ, ხოლო უკანასკნელისაგან რწმუნების ქაღალდი უნდა ჰქონდეთ. ასეთი რწმუნება შეიძლება მიეცეს მხოლოდ ერთ-ერთს შვილს.

28. მზრუნველები მცირე წლოვანთა მიიღებიან არჩევანებში მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თვითონ აკმაყოფილებენ ყველა იმ პირობათ, რომელნიც საჭირონი არიან არჩევანებზე პირადად დასასწრებლად. აგრეთვე რწმუნებულნი ჰასაკში შესულთა, ხოლო 25 წელზე უმცროსთა, უნდა აკმაყოფილებდნენ იმავე მოთხოვნილებას კანონისას. ხოლო რწმუნებულთ დედათა სქესისას, მზრუნველებს და გაუყრელს შვილებს, შეიძლება არა ჰქონდეთ ქონებრივი ცენზი, სხვაფრივ-კი უნდა აკმაყოფილებდნენ კანონს არჩევანებზე დასწრებისას.

29. 25 და 27 სტატ. ნაჩვენები რწმუნების ქაღალდები უნდა შეიცავდნენ გვარსა და სახელს იმ პირისას, რომელსაც ეძლევა იგი ქაღალდი, უნდა იყოს აღნიშნული, რომელ კრებაზე დასასწრებლად ეძლევა იგი ქაღალდი და უნდა იყოს ხელმოწერილი მრწმუნებელის მიერ. ეს რწმუნების ქაღალდი უნდა იყოს შემოწმებული პოლიციის, ანუ ნოტარიუსის მიერ.

30. საზოგადოებანი, ამხანაგობანი, კომპანიები, რომელთაც აქვთ საარჩევნო უფლებანი, გაჰგზავნიან კრებაზე თავიანთს წარმომადგენელს. სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენელს დაჰნიშნავს მთავრობა თვითეულის დაწესებულებისა.

წარმომადგენელნი საქველ-მოქმედო, სამეცნიერო და სამოსწავლო დაწესებულებათა დაინიშნებიან ამ დაწესებულებათა მმართველობათა მიერ. ხოლო სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოებათა, ამხანაგობათა და კომპანიებთა წარმომადგენლებად: იქ, სადაც ქალაქში თვით გამგეობა ამ ამხანაგობათა იმყოფება—ითვლებიან თვით წევრნი გამგეობისა, უკანასკნელთა დავალებით; თუ გამგეობა იმყოფება ქალაქს გარეთ, მაშინ წარმომადგენლად შეიძლება იყოს რომელიმე ქალაქში მყოფი აგენტი ამხანაგობისა, რომელსაც მიეცემა რწმუნების ქაღალდი გამგეობისაგან. აქ მოხსენებულ წარმომადგენლებს შეიძლება ქონებრივი ცენზი არა ჰქონდეთ, ხოლო სხვაფერ-კი უნდა ეთანხმებოდნენ კანონის საარჩევნო მოთხოვნილებას.

31. არავის არ შეუძლიან საქალაქო არჩევანებში ჰქონდეს ორზე მომატებული კენჭი: ერთი პირად თავისი და ერთიც რწმუნებით.

32. იმ პირთაგან, რომელნიც აკმაყოფილებენ პირობებს, 24 სტატ. აღნიშნულს, არ დაესწრებიან არჩევანებზე: 1) ადგილობრივნი მოხელენი პროკურატურისა; 2) ღვდელ-მონაზონნი ქრისტეს სარწმუნოებისანი. ეს არ შეეხებათ თავად-აზნაურთა წინამძღოლთ და ქალაქის მოურავებს.

საოჯახო ცნობა

ჭიანჭველების გასაძევებელი წამალი. სახლიდგან ჭიანჭველების გასაძევებლად საჭიროა იმ ალაგას, საიდგანაც ჭიანჭველები ჩნდებიან (გამოდიან), აბზინდის ფოთლები დაიყაროს. განჯინებში და ყუთებში, რომ პარკუჭებით გოგირდი შეინახოს, ჭიანჭველები აღარ შევლენ. იმათ გასამეგებლად აგრეთვე კარგია ყველა კუთხეებში და ხვრელებში ბურა დაიყაროს ცოტაოდენ დანაყილ შაქარში გარეული

კამასაც ძალიან ერიდება ჭიანჭველა. ამის ღეროები უნდა დაიჭრას და ყველა იმ ადგილებს მოეყაროს ოთახში, საიდგამაც ჭიანჭველები ჩნდებიან; ხოლო სახლის კედლებს გარედგან მიწის პირიდგან ორიოდე მტკავლის სიმაღლეზედ და აგრეთვე კიბის ძირის ხაფეხურებს კამის ფოთოლი უნდა წაესვას მაგრად და ჭიანჭველა აღარ მიეკარება სახლს.

სასამართლოს მატიანე.

ექვთიმე ხელაძის საქმე. ამ წლის 15 იანვარს, გაზეთ „ცნობის ფურცელში“ იყო გადმობეჭდილი გაზეთ „ახალ მიმოხილვიდან“, რომ ეფროსინე ჯანჯღავას ქალის საჩივარზე ფოთის მსაჯულმა ექვთიმე ხელაძეს 20 დღით დაპატიმრება გადაუწყვიტა სიტყვით შეურაცხყოფისათვისაო. ეს საქმე ხელ-მეორედ გაირჩა 24 აპრილს და ექვთიმე ხელაძე სრულიად გამართლებულ იქმნა. ხელაძე თავისს თავს თითონ იცავდა.

წვრილი ამბავი

შესანიშნავი ბავშვი. ამ ერთის წლის წინად ქ. ბერლინში აჩვენებდნენ ოთხის წლის ბავშვს, ყასბის შვილს, რომელიც თავისუფლადა ჰკითხულობდა ლათინურსა და გოტიკურსა, როგორც ნაბეჭდს, ეგრეთვე ხელნაწერს. კითხვა თავის თავად ისწავლა. ეს საოცარი ბავშვი, თურმე, ასე მიეჩვია კითხვას: პირველად იმას უკითხავდნენ ქუჩებზედ მაღაზიების წარწერებს, ეუბნებოდნენ სახლების პატრონების გვარს, სახელს და ამ გვარის საშუალებით ხმების ერთმანეთთან შეხამებ-შედარებით შეისწავლა კითხვა ნელ-ნელა.

ოტტო—სახელია ამ შესანიშნავის ბავშვისა, გატაცებით ჰკითხულობს ისტორიულს, გეოგრაფიულს და ბიოგრაფიულს წიგნებსა და წერილებს. ზეპირად იცის დაბადებისა და სიკვდილის დღე გერმანეთის ყველა ხელმწიფისა, მხედართ-მთავრებისა, პოეტებისა და ფილოსოფოსებისა. იცის აგრეთვე ის ქალაქები, სოფლები და ადგილები, სადაც დაიბადნენ ეს გამოჩენილნი პირნი. იცის ევროპის ყველა მდინარეების და ქალაქების სახელები. ყველა ეს პატარა ოტტოს თავისით, სხვის დაუხმარებლივ შეუსწავლია თავისი მამის ალმანახებიდამ და კალენდრებიდამ.

ბავშვს, თურმე, საკვირველი ხსოვნა აქვს და თუ ერთხელ გაიგონა რამ, იშვიათად დაავიწყდება. ხელნაწერს, რაც უნდა გაურკვევლად იყოს იგი დაწერილი, მაინც დიდის სისწრაფით ჰკითხულობს. კითხვის დროს, რომ იტყვიან წიგნსა სჭამსო, სწორედ ისრედ შვრება სიტყვას სიტყვაზედ ისეთის საშინელის სისწრაფით აბამს, რომ ნახევარსა ჰყლაპავს. ოტტომ 10 წუთის განმავლობაში გადიკითხა ერთი სურათიანი წიგნი და შემდეგ სიტყვა-სიტყვით ზეპირად მოუყვა მსმენელთ წაკითხულს.

ენებსაც, ლაპარაკი არ უნდა, ადვილად შეისწავლისო, რადგან ლათინურის კითხვა ეხლაც კარგად იცისო და სთხოვს გადუთარგმნონ სიტყვებიო, მუსიკა ძალიანა სძულს და მისი მოსმენა არ შეუძლიან. როცა კი ვინმე მის მახლობლად დაუკრავს რამე საკრავს, იგი დიდის ხვეწნით სთხოვს: „თქვენი ჭირიმე, გააჩერეთო“.

წერა კი არ ეხერხება და დიდის გაჭირვებითა სწერს ასოებს. არ ეხერხება აგრეთვე ანგარიში.

საღამოს დეპეშა

26 აპრილი

როსტოვი. დონი ძლიერ ადიდა. ერთი უბედურება მოხდა: დიდი ნავი, რომელშიაც ორთავე სქესის შუბებით იყო სავსე, გადაბრუნდა; 12 კაცი დაიღუპა.

პარიჟი. საქველ-მოქმედო ბაზარზედ მომხდარ უბედურების დროს რუსეთის ახალშენის არც ერთი წევრი არ დაღუპულა. ოფიციალურ ცნობებით დაღუპულთა რიცხვი 146-მდე ადის.

კონსტანტინეპოლი. ველესტინოსთან მომხდარ ბრძოლის დროს ოსმალთა შორის 600 კაცი დაიხოცა. ფირსალოსთან ბრძოლის დროს ცსმალთა ზარალი მეტად მცირე ყოფილა,

ათინა. ალმირიდგან მოხსენება მიუღიათ, რომ სმოლენიცის რაზმი მოვიდაო.

ფარსალი. ბრძოლა დაიწყო იმის გამო, რომ სადარაჯოებთან შეტაკება მოხდა. ოსმალეთის მთავარ-სარდალი მხოლოდ საბრძოლველად ემზადებოდა 24 აპრილისთვის. საბერძნეთის ჯარი, რომელმაც ქალაქის ჩრდილოეთის მხარეს მაღლობი დაიჭირა, ისე ვერ გაუმაგრდა მტერს, როგორც მოელოდნენ. ბერძნებმა საჩქაროდ დაიწიეს ბარისაკენ, რომელიც ქალაქსა და მაღლობის შუა მდებარეობს და ქალაქს მიაშურეს.

ამ დროს ოსმალთა არტილერიამ ბერძნებს ზარბაზნები დაუშინა და დიდად დააზიანა. უფრო დიდი ზარალი ბერძნებს იმ დროს მოუვიდათ, როდესაც ხიდზედ გადადიოდნენ.

* * *

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზედ

საფოსტო—პასაჟირო გემები

ბათომიდგან 1) გემი წრიულის რეისით გადის შაბათობით, შუადღის 12 საათზედ, შეივლის ნოვოროსიისკში, იალტაში და სევასტოპოლში.

ბათომიდგან 2) პირველი ირგვლივის გზის გემი გადის შაბათობით, ღამის 2 საათ, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდგან 3) მეორე ირგვლივის გზის გემი გადის სამშაბათობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდგან 4) მესამე ირგვლივის გზის გემი—პარასკეობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდგან პირდაპირი გემი ხუთშაბათობით, შუადღის 12 საათზედ; შევლის ნოვოროსიისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში და სევასტოპოლში.

საბარგო-საპასაჟირო გემები.

ბათომიდგან გადიან პარასკეობით, 8 ს. საღამოზე. შეივლიან ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდგან გადიან ოთხშაბათობით, ღამის 2 საათზედ, შეივლიან ფოთში, ნოვოროსიისკში და სევასტოპოლში.

ბათომში მოდიან გემები

ირგვლივი გზის გემები მოდიან ბათომში ორშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით, საღამოთი.

პირდაპირი გზის გემები მოდიან ბათომში ოთხშაბათობით, დილით.

სწრაფი რეისის გემები მოდიან ბათომში პარასკეობით, ნაშუადღევს.

საბარგო-სამგზავრო გემები, პირდაპირი, სამშაბათობით, ნაშუაღამევს. ჩვეულებრივი—პარასკეობით, შუადღეს.

ამიერ კავკასიის რკინის გზა.

თბილისიდგან—ბათომში მატარებელი № 1 გადის დილის 9 ს. 30 წ. მიდის ბათომში საღ. 9 ს. 45 წ.

თბილისიდგან—ბაქოში მატარებელი № 2 გადის ღამის 10 ს. 50 წ. მიდის ბაქოში საღ. 4 ს. 49 წ.

ბათომიდგან—თბილისში მატარებელი № 2 გადის დილის 9 ს. 40 წ., მოდის თბილისში საღამოს 9 ს. 55 წ.

ბაქოდგან—თბილისში მატარებელი № 1 გამოდის დღისით 2 ს. 30 წ. მოდის თბილისში საღამოს 8 ს. 1 წ.

თბილისიდგან—ბათომში მატარებელი № გადის საღამოს 6 ს. 50 წ. მიდის ბათომში დილის 8 ს. 15 წ.

ბაქოდგან—თბილისში მატარებელი № 3 გამოდის ღამის 11 ს. 5 წ. მოდის თბილისში 5 ს. 50 წ.

ბათომიდგან—თბილისში მატარებელი № 4 გამოდის ღამის 11 ს. 20 წ., მოდის თბილისში შუადღის 12 ს. 25 წ.

თბილისიდგან—ბაქოში მატარებელი № 4 გადის ნაშუადღევს 1 ს. 10 წ. მიდის ბაქოში 7 ს. 30 წ. დილით.

ნიხრი

იანვრის 28-დამ 1897 წ. ვიდრე შეიცვლებოდეს

ძროხის ხორცი 1 ხარისხისა
უძვლოდ 1 გირვანქა . . 8 კაპ.
სუკი 1 გირვანქა . . . . . 12 „
ცხვრის ხორცი უძვლოდ
1 გირვანქა . . . . 8 „

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამითი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ოთხის წლისთვის 1897—1901 წ.

ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევანები 1897 წლის 18 მაისს იქნება. ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელი ცალკე გამოაცხადებს, კრება რომელ ადგილას შესდგება და რომელ საათზედ დაიწყება. 18 აპრილიდგან 1-ს მაისამდე (ამ დღის ჩათვლით) ქალაქის გამგეობის შენობაში, ყოველდღე, კვირა-უქმეს გარდა, სანამ მუშაობა არ შეწყდება, ამომრჩეველთ შეუძლიანთ წარმოადგინონ მათ მიერ სახმოსნოდ დასახელებულ კანდიდატთა ნუსხა. ამასთანავე ამომრჩეველთ 18 მაისის კრებაზედ დასწრების ბარათი მიეცემათ, რომ ხმოსნებად ასარჩევ კანდიდატებს კენჭი უყარონ. ამავე დროს განმავლობაში ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელის სახელობაზედ მიიღება წერილობითი განცხადება იმათგან, რომელნიც ხმოსნობის სურვილს თითონვე განაცხადებენ და ყუთს დაიდგამენ. ამომრჩეველს, თუ ჰსურს, შეუძლიან ქალაქის გამგეობისაგან მიიღოს 1892 წ. საქალაქო დებულებიდგან ამოწერილი 24—33 მუხ., დაბეჭდილი დარიგება არჩევანების წეს-რიგის შესახებ და ბლანკები, რომელშიაც უნდა აღნიშნონ მათ მიერ სახმოსნოდ დასახელებული კანდიდატები. თითოეულ ამომრჩეველის მიერ სახმოსნოდ დასახელებულ კაცთა რაოდენობა 96 არ უნდა აღემატებოდეს. თუ აღმოჩნდა, რომ ვისმეს ამ რიცხვზედ მეტი კანდიდატი დაუსახელებია, დათვლის დროს კანდიდატებად დასახელებულად ჩაითვლებიან მხოლოდ თავში მოხსენებული 69 კაცი. კანდიდატთა ნუსხის მიიღება 2 მაისს, ნაშუადღევს 3 საათზედ, შესწყდება, რომლის შემდეგ დაბეჭდილი ყუთი ქალაქის გამგეობის თანადასწრებით გაიღება და ეს უკანასკნელი ყველა კანდიდატების საერთო ნუსხის შედგენას შეუდგება, რომელთაც ხმოსნობისთვის კენჭი უნდა იყარონ, და ამასთანავე გამგეობა ცნობაში მოიყვანს რამდენი ხმით არის დასახელებული თითოეული კანდიდატთაგანი. კანდიდატი, რომელიც ხუთ ამომრჩეველთა ნაკლებისაგან იქმნება დასახელებული, კანდიდატთა საერთო ნუსხაში არ იქნება ჩაწერილი, იმათ გარდა, რომელთაც თითონვე განაცხადეს სურვილი, რომ ყუთი დამიდგით და კენჭი მიყარეთო.

რწმუნების ქაღალდი შეიძლება მიეცეს მხოლოდ იმათ, რომელნიც მოხსენებულ არიან საქალაქო დებულების მე-24 მუხ. მე-2 შენიშ. და 25—27 მუხ.

1) იმათ, რომელთაც უფლება აქვთ არჩევანებში მონაწილეობის მიღებისა, მზრუნველი არა ჰყავთ და ამასთან 25 წელი არ შეუსრულებიათ; 2) დედათა სქესისათ; 3) მამას შეუძლიან თავისს გაუყრელს შვილს მისცეს რწმუნების ქაღალდი.

2) თუ რომელიმე ამომრჩეველი კრებას ვერ დაესწრება, 1892 წ. საქალაქო დებულების ძალით, თავის მაგიერ კრებაზედ დასწრების უფლებას მეორე ამომრჩეველს ვერ გარდასცემს და ამიტომ ამ გვარი რწმუნების ქაღალდის გაცემა არ შეიძლება. (3—3)

ქ. ბათომი

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩემს სადურგლო-სახელოსნოსთან ქ. ბათუმში გავხსენი

კუბოების მაღაზია

კრისთავის ქუჩა, სუკოიანის სახლი, № 53.

მივიღებ ყველანაირ სადურგლო საქმეს, რომელიც იქნება შესრულებული დანიშნულ ვადაზე სუფთად და სინიდისიერად.

ლუკა თვალაძე.

(8—8)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26-го Апрѣля 1897 г. სტამბა მ. შარაძის და ამხ. ნიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია,